საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/95

ქ. ბათუმი **07 ოქტომბერი, 2020 წ.**

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, რექტორის მოადგილის 2020 წლის 25 ივნისის N515926 სამსახურებრივ ბარათში აღნიშნული სამუშაო შეხვედრის შედეგებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ წესში (გადაწყვეტილების დანართი 1) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატება:

ა) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბრძანებით **ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე** ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის მიერ ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე (გარდა უცხოენოვანი პროგრამისა) ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გადახდილი უნდა იქნეს მისი სწავლის საფასური (არანაკლებ 1 სემესტრის). მომდევნო სემესტრებში ამ სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა (სწავლის საფასურის გადახდა) უნდა განხორციელდეს წინამდებარე წესისა და ბსუ-ს რექტორის შესაბამისი ბრძანებით დადგენილ ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში.“;

ბ) მე-7 მუხლის 1^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1[1.] სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრების (მეუღლე, შვილი) განათლების ხელშეწყობის მიზნით, ბსუ-ს აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/სამედიცინო აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე) სწავლის თანადაფინანსება შეიძლება განხორციელდეს ბსუ-ში გადასახდელი სწავლის **წლიური საფასურის 30 %-ის ოდენობით,** ამ კატეგორიის სტუდენტის მიერ პირველ სემესტრში წარმოდგენილი განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის (დაბადების მოწმობა, ქორწინების სარეგისტრაციო მოწმობა, ცნობა დასაქმების ადგილიდან და სხვა) საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.''.

2. წინამდებარე გადაწყვეტილება და შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით კონსოლიდირებული ,,სწავლის საფასურის გადახდის წესი", გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები" და ,,სტუდენტის გზამკვლევი") და აისახოს ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევში.

3. გადაწყვეტილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურის და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს.

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**